თავისი კონსული, მოელაპარაკენ მას და ამიზ შექმნა დეგ როგორლაც უფრო ყოჩალად იყვნენ. მოური-დებლად დასკინოდნენ ისპანიის სამსაჯულოს და სალამ-სალამო-იბით სულ მთვრალობდნენ და ჰქეი-ფობდნენ. მე კი უკანასკნელ დღეებში ერთი ლუკმაც არაუერი ჩამსვლია პირში!

ორი კვირის შემდეგ ვილგელმსონმა მითხრა ჩუმათ, რომ ვერმანიის კონსულთან შეხვეწილი რომ ვიყავით, არაფერი არ გამოდის იმისაგანო. იმას უშუალდებლებია ისპანიის ადგილობრივ სამხედრო ძთავრობასთან, მაგრამ მთავრობას ყურიც არ უთხოვებია; ასე უთქვამს, რომ ჩვენს შინაგან პოლიტიკაში ნუ ერევით, თქვენ, ეს ჩვენი საქმეა, ჩვენ ვიცით და ისპანიის მმართებლობამო, არაეს შეწყალება არ შეიძლება, ყველანი უნდა დაიხვრიტონო. შემდეგ ბრუნომ მითხრა: მეტი ვჭა არ არის, ჩრდილოეთ ამერიკის კონსულს განვუცხადოთ, რომ ვითომ ჩვენ ამერიკის ქვეშევრდომობა გვქონდეს მიღებული, და ვსთხოვთ, რომ გვიმფარველოსო წინაშე აქაურის ისპანიის მთავრობისა. ეს გერმანიის კონსულსაც ვუხხარიო, მითხრა ბრუნომ, და იმანაც ასე მიჩინა, ასე აჯობებს, რადგან ამ ქვეყანაში მარტო ამერიკის და ინგლისის მმართებლობის წარმომადგენელებსა აქვთ ცოტაოდენი მნიშვნელობაო. გერმანიის კონსული კიდეც შეჰქირებოდა ბრუნოს, რომ მე თვითონ მოველაპარაკები ამერიკის კონსულს ჯესს თქვენს შესახებ, იქნება თქვენც მოგიხერხოს რამე ერთად იმ ორ ამერიკელ მატროსთან, რომლები-

სათვისაც ის შუამდგომლობსო. დანარჩენი რვა მატ-
რისი და ქასტელკოცი გამოდგნენ ბუნებით ისპანიე-
ლები, ან მექსიკანელები, და მათი ბედი და უპედო-
ბა ვაღაწყვეტილი იყო, შველა აღარ გაეწყობოდათ.

მეორე დღეს, თერთმეტი / საათი იქნებოდა
დილის, ვილგელმუნი გარეთ გაიხმეს. თურმე ამე-
რიკის კონსული მოსულიყო ბრუნოს და ჩემს სანა-
ხავად. ნება-როვა აეღო ისპანის მთავრო-
ბისაგან და მოსულიყო ჩვენი თხოვნის
მოსასმენად. ჯერ ბრუნოს მოელაპარაკა. მერ-
მეთ მეც გამიხმეს. ჯესმა ჯერ ამათვალიერ-ჩამა-
თვალიერა და მერმეთ მოისმინა თარჯიმანის პირით
ჩემი თხოვნა. მეც და ბრუნომაც ტყუილი ვუთხარით,
რომ ამერიკის ქვეშევრდომები ვართ-მეთქი და ვგო-
ნებ მიგვიხვდა, ისე ჩაიცინა როგორლაც; გვითხრა,
რომ ძნელი საქმეა და არ ვიცი მოხერხდება რანე
თუ არაო; ისიც არ ვიცი, ეს ორი ბუნებით ამერი-
კელები რომ არიან, იმათაც ვუშველი რასმე თუ არაო.
მაგრამ მაინც იმედი გვითხრა, დაგვპირდა, რომ თქვენ
შესახებაც მოველაპარაკები ისპანის მთავრობასაო.
იმედი რომ გავიგონეთ, მჟაბლათ თავი დაეუკარით;
იმ მოლაპარაკების დროს სულ ჭუდ მოხდილები ვი-
დექით მის წინაშე.

ჯესი იყო ერთი მაღალი, პირხმელი და მაგარი
ავებულობის იან კი; პირ-მოპარსული იყო, მხოლოდ
ნიკაბზე ჰქონდა დატოვებული ამერიკულად სქელო



ქერთი წევრები. ასე ერთი-ორმოც-და-ათი წლის კა-
ც იქნებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ საკუთრებულად ყო-
ხალად იყო. მისი ჭრელი თვალები იყვნენ გამო-
მეტყველნი ამაყის ამერიკელით ქედ-მოულჩეკელის
ენერგიისა. მეოთხი საზაფხულო ტანისამოსი ეცვა
სა პანაში, ფართო ჩალის შლიაპა ეხურა. როდესაც
ჩეენ გველაპარაკებოდა, ხან-და-ხან თავისუფლად ჩა-
უოფლა ხოლმე ფილეტის ჯიბეში ხელს, ამოილებდა
რქელგან თამბაქოს, ჩაიდებდა პირში, ღვჭრა, ღვჭდა
და შემდეგ გადმოალორწკებდა და დააფუროთხებდა
ძონს. — მრთოს ღლის შემდეგ კერძოთ გავიგეთ, რომ
ჩეენი საქმე ცუდად იყო. ჯესს რომ ქალალი მიე-
წერა იხპანის სამხედრო მთავრობასთან, იმაზედ პა-
სუხი მოსელოდა; რომ პატივდებაში ვერ მიეიღებო
თ ქუენს თხოვნასა; არ შეიძლება, რომ ხსენებული
თქუენგან ითხი აშერიკის ქვეშეფრდომი გამოვიცა-
ხოთო სხვა მატერიალების რიცხვიდგან. არც თავდე-
ბოდით დავაწებებოთ. ცალკე ჩემსა და ბრძნოს შე-
სახებ შემოეთვალით, რომ იხინი ტყეუილს ამბობენ,
ამერიკის ქვეშევრდომები არ არიან; ახლა გამოიგო-
ნებ: ეს, რომ ამით უშველოონ თავს, თორებ წინეთ-
ერთმა განაცხადა, რომ გერმანიის ქვეშევრდომი ვა-
რო და მეორემ რუსეთისაო. დავიღუპეთ!...

მონსტერულებით რომ გაერთიანებ ჩვენს საქმეში, საწყვეტად დაურჩათ ისპანიის ადგილობრივ მოსახლე-ბის და ინჟინერულნებ განჩინება მაღლე მოეფეუნათ სი-სრულეში. ჩვენს წერილებზე, რომელსაც ვაგზა- ე-



ნიდით სატესალოს მოსამსახურების საშუალებით, სანუგეშო პასუხი არ მოგვდიოდა. ზვატყობინ ებდონენ, რომ ჯესი ყოველს დღეს დაღის თქვენს საქმეზე და ჰსცდილობს რამე მოახერხოს, მაგრამ ვერაფერი გაარიგაო; განჩინება ყველაზე ერთნაირად უნდა ასრულდესო, როგორც ისპანიელ მეკობრებზე, ისე უცხო ქვეწელებზედაც. მაგრამ ამერიკელი მატრისები ამბობენ, ვითომ მათი კონსული არ ეთანხმებოდეს ისპანიის მთავრობას, ებჭობოდეს მას და კიდეც ტელეგრაფით მოეთხოვოს საშეელათ თავის მმართებლობისაგან ერთი ჯავშნიანი გემი; ამათ ამის იმედი აჭისო კიდევ. მაგრამ წინ იცის, დროზე მოეშველებიან თუ არა.

ჩვენი სიცოცხლე მღელვარებით მიმღინარეობს: ხან ცოტა რაღაც იმედი მოგვეცემა და ვუიქრობთ, რომ გვეშველება რამე, ხან სულ დაგვეკარგება იმედი და სასოწარკვეთილებაში ვვარდებით. მუდამ სატუსალოს ფანჯარებთან ვართ ფეხზე ჩამოშეშებული და ვიცქირებით შორს ზღვაში, საიდგანაც ჯავშნიან გემს მოელიან. დღეში ათასჯერ კი ვკითხავ-დით ერთმანერთს: «მოვიდა თუ არაო?»

საკვირველია, რომ ჩვენს ამხანაგებს, ისპანიელ მატრისებს, ჰსწუენთ, რომ ჩვენთვის კონსულებმა თავი გამოიდვეს, და თხოულობენ, რომ სამართლით ყველა ერთნაირად უნდა დავისაჯოთო, თითქო ჩვენი სიკვდილით მათ რამე შეეძინებოდეთ. ცუდათაც დაგვიწყეს ბლვერა.

ვილგელმისონს დროებით კიდევ მიეცა რეელი. მითხა, რომ გერმანიის კონსულს მოულაპარაკია ჯესასთან და მისი თანხმობით ხელ-ახლავ აპირებსო ჩვენთვის შუამდგომლობას. ახლა მხოლოდ ჩვენზედ არის საქმე; ჩვენ ვისურვებთ თუ არა, რომ გვი-შუამდგომლოსო. მართალი მოგახსენოთ, მე ამ ამ-ბავმა უფრო შემაშინა. მე ვუთხარი ბრუნოს, რომ ასე არ იყარგება-მეტქი, ერთს რასმე უნდა დავე-ფუძნოთ: ან ამერიკის ქვეშევრდომობას და მაშასა-დამე გერმანიის კონსულს ხელი აღარ ექნება ჩვენ-თან, ან იხას, რომ ვითამც ნემცები ვართ; მაგრამ უკანასკნელს შემთხვევაში ჩვენ გავამართლებთ-მეტ-ქი ისპანიელების აზრს, რომლებიც ტუჭილის მოგო-ნებას გვწამობენ; რომ აღარ შეეპუონ გერმანიის კონსულს, რაღგან მას სამხედრო ძალა არა ჰყავს აქ, ხომ დავიღუპებით მეტქი კაცები? ზერმანიის კონსულს თეითან იმედი არა აქვს, რომ მისმა შუა-მდგომლობამ რამე გაარიგოს, და ამერიკის კონსუ-ლი მარჯვეთ მაინცაა, ენერგიულად მოქმედობს და, რაც უნდა დაემართოს, უკანასკნელ ღონეს არ და-ზოგავს, რომ თავის ქვეყნის შვილები, ამერიკელი მატროსები, დაიფაროს. თუ ისინი არ დახვრიტეს, მაშინ არც ჩვენ დაგვხვრეტავენ-მეტქი. გარდავწყვი-ტეთ, რომ ჯესს დავნდობოდით და დავრჩით იმისი იმედით.

VI

მა რჩევა რომ მქონდა ბრუნოსთან, მის მეორეს დღეს ჩვენს საქმეს ერთბაშად მცწრავლი მსვლელობა მიეცა. მტყობოდა, რომ ისპანიის მთავრობამ განვეძ დააჩქარა საქმე, რომ ხელი არვას შეეშალა მათთვის და მალე სისრულეში მოეყვანათ განჩინება.

საღამოს უეცრად გამოგვიცხადეს, რომ სხვალ დილას უნდა დაიხვრიტოთ ყველანიო, რადგან ხოველიარმა ყველას შესახებ განურჩეველად დაამტკიცა ამ გვარი განჩინებაო. ზეითხრეს, რომ მოვმზადებულვიყავით. ბორკილები შეგვიყარეს. შერილების მიწერის ნება მოგვცეს, ვისთანაც გვინდოდა; ვახშმათ ჩვეულებრივზე უფრო მეტი მოგვცეს ყველი, წითელი ლვინო და სიგარი. იმ ღამეს გამომიგზავნეს სამი ბერი, რომლებთანაც აღსარება უნდა ავვეარა, თუ გვინდოდა შეგვენანებია ცოდვანნი ჩვენნი, და მოვმზადებულვიყავით სასიკვდილოთ. საოცრად შეგვეშინდა ყველას; სულით დავეცით. ამერიკელი ჯავშნიანი გემი არა ჰსჩანდა. ჯესს შევატყობინეთ ჩვენი ამბავი რომ ხვალ ამ და ამ დროს დახვრეტას გვიპირებენ-თქო, და შუალამემდის არაეითარი პასუხი არ მოგვსვლია. ცხადი იყო, რომ ეერც იმას გაერიგებია რამე!

ვილგელმსონი ისე წახდა, რომ დაემხო თავდალმა ჭილობზე და როგორც ბავშვი ისე ქვითონებდა, მე მთლად გავშტერდი, თუმცა ვგრძნობდი,


რომ ერუანტელი მივლიდა ტანში; ამერიკელები მიმღები იყვნენ, ზოგი თამბაქოს ეწეოდა, ზოგი ლეჭავდა თამბაქოს და მოლვრემილები იყვნენ, ხმას არ აღებდნენ. მცუობოდათ, იმათაც დაწმინდეს იმედი. შემდეგ დათვრენ და ლაპარაკი მოუვიდათ ისპანიელებთან, განსაკუთრებით ქასტელკოცან, რომელსაც დიდი საყვედური გამოუცხადეს, რატომ არ გვაცოდინე, თუ ამისთანა საიდუმლო და საშიშ რაზედმე მიგჟავდითო, ბოლოს საოცარის სიტყვებითაც გალანძლეს. სამაგიეროთ არც იმას დაუკლია ხელი, თუმც ეტუობოდა სიტუაში, რომ თვითონაც გრძნობდა თავის დანაშაულობას. ისპანიელს აფიციებს და ხოველიარს კი უფრო აფინებდა. აღსაჩება რომ აირა ბერთან, შემდევ ცოტათი დაწყნარდა, დაწვაჭილობზე. თავქვეშ ხელები ამოიდვა და ჭრის თვალებ-მიშტერებული სივარას ეწეოდა. შველა ისპანიელებს და მეც წაგვიკითხეს ბერებმა რაღაც შენდობის ლოცვები, რომელიც ისპანიელებმა დიდის სასოებით მოისმინეს; ამ დროს ისინი წამომჯდარი იყვნენ ჭილობზე, სატუსალის სარდაფის ნოტიო კედელზე მიყრდნობილნი, და გულაც ხელები დამჭვედეული ჰქონდათ ჯვარადინათ... ძლივს ბეუტავს პატარა ლამპა და სარდაფი განათებულია მქრალად. შველა-ფერი დაწყნარდა... სიჩუმეა... აი, საწყლებმა ზოგიერომა ჩემმა ამხანაგებმა კიდეც დაიძინეს, მაგრამ დაიძინეს უკანასკნელად; ამ სოფელის მათ მეტი ძილი

აღარ ელირსებათ. ვგონებ, ვილგელმსონმაც შესწყვი-
ტა ქვითინი და მიაძინა...

მე პირალმა ვწევარ და ვფიქრობ:

რას ვფიქრობდი მაშინ? სულ ყველაფერი
თვალთ წინ წარმომიდგა ცხადად, რაც ჩემს სიცოცხ-
ლეში თავს გადამხედია. ჩემმა გონებაშ მოინდომა
ანგარიში მოეთხოვა წარსულის ცხოვრებისათვის და
იწყო მისი გადათვალიერება. მომავონდა სიყმაწვილე,
მომავონდა ის დრო, როდესაც შკოლაში ერავი
პაწია ყმაწვილი და ვცელქობდი ვაჯავრებდი ჩემს
ზედამხედველებს და მასწავლებლებს; მომავონდა ის
დრო, როდესაც პირველად დაუიწყე წყლებზე მოგ-
ზაურობა: დეპრაზე, შავ ზღვაზე კავკასიის ნაპირები-
საკენ და პარაკოვში ჩემი საკუთარი გემის კეთება,
რომელიც ველარ მოვათავე... შემდეგ მომავონდა
ჩემი სახლი, წარმომიდგა თვალის წინ პატარა ბალი,
მისი გაოხრებული ხეივნებით, დანგრეული ფანჩა-
ტურით და კვლებით, რომლებზედაც იზრდება ყა-
ყაჩო და მზესუმზირე...

პი, განსვენებული მამა-ჩემიც!... როგორი მკაც-
რი შეხედულობა აქვს! დედა-ჩემი კი, საწყალი, მორ-
ჩილი ტანისაა, მშვიდი, წყნარი... დედა-ჩემზე დიდს ხანს
ვფიქრობდი. ღმერთო, რამ სიშორეზეა ახლა ის ჩემ-
გან! ვფიქრობდი მე—ნიუიორკი ხომ ისე შორს
არის, ნიუიორკის იქეთ კიდევ ვინ იცის რამდენი
გზაა დედა-ჩემამდის! მთელი ოკეანე უნდა გაიარო.
შემდეგ პარიჟი, პელნი, ღრეზდენი, ერთის სიტყვით,



მთელი მერობა უნდა გაიარო, მერმეთ პიევი, პრე-
მენიუგი და ბოლოს, როგორც იქმნება, მიაწევ ჩვენს
საშუალს პოლტავამდის. რამდენი უნდა იარო, იცი!..
ნეტავი ვიცოდე, რას შერება ახლა მოხუცებული
დედა-ჩემი! იქ ახლა, შეიძლება, დღეა. ის უნდა იყოს
ამ დროს საშზარეულოში, იქ უნდა ტრიალებდეს
ცეცხლთან და ჩვენს ვოგოს მართას საჭმელებს აკეთები-
ნებდეს. მისი ჭირიმე, როგორი მშეიღი სახეა აქვს! ნეტავი
თუ ვახსოვარ ახლა? ხან-და-ხან უთუოდ მომიგო-
ნებს და შეწუხდება: «ვა თუ ვახურებულზე წყალი
დალიოს საღმე, გაცივდეს და მძიმე ავათ შეიქნეს!
ვინ ეკოლება მომვლელიო!» მავრამ ის კი არ მოუ-
ვა აზრში, რომ მე ამ ფამად ამისთანა მდგომარეო-
ბაში ვარ. სიზმრათაც არა მოეჩვენება რამე ამ გვარი.
ანდა რა გაეგება იმას, ამ ქეყნის, აქაური ადგილე-
ბის? რა იცის, სადა ვარ, რა განსაკუდელში ვარ?
ჩცის, რომ ხადლაც შორსა ვარ, ძლიერ შორს,
ოკეანეს იქეთ. პარიფერ უფრო შორს (პარიფის სა-
ხელი კი გაუგონია), და რაღაც ვესტ-ინდია არისო,
მექსიკა—ესპანიის კოლონიები, შუბა და სხვა,— იმან
არაფერი იცის ამის შესახებ, როგორც უსწავლელმა
ქალმა და ცის კი იცის, რომ ახლა ცალი ფეხი სამა-
რეში მიღვია? შეიძლება ითიქროს, რომ ავათ გავ-
ხდები (თუმცა ამ ფიქრისაც კი ეშინია) და მოვკვდე-
ბი ცივებით, ან ცულებით, ან შეიძლება დავიხრჩო
წყალში; ან შეიძლება, საღდათი რომ ვიყო. და
გამგზავნონ საღმე საომრად მტრის წინააღმდეგ (იმას

მარტო ისმალის სახელი გაუგონია, მეტი არავითი), მომხვდეს თოჯის ტყვია ან ზარბაზნის და მომკლას.. ამ გვარი სიკვდილი კიდევ შეუძლია წარმოიდგინოს მაგრამ ამ წამში რომ ამისთანა საოცარ მდგომარეო ბაში ვარ (როდესაც ამას სრულრად არ ჰქოქიანობს), რომ რამდენიმე საათის შემდეგ უნდა მომხვდეს ოციოდე ტყვია ისპანიელ სალდათების სამარცხეინო ბოძთან, რომელზედაც, მისი აზრით, ჰსჯიან მხოლოდ მძიმე დანაშაულობის მომქმედებს, კაცის მკვლელებს და ავაზაკებს,—არა, არა, ამის წარმოდგენა იმა როგორ შეუძლია! Ոյ როგორ იფიქრებს, რომ მისი შეიღი, მისი ბიჭი ფლორინკა, რომლის კარგად ყოფნას მუდამ დღე მდუღარე ცრემლებით ევედრება ღმერთს, ამ ნაირიց სიკვდილით უნდა მოკვდეს. პრა, შეუძლებელია! ქიდევაც რომ უთხრას ენმეტ ეს ამბავი, განეთებში წკითხული, ის მაინც არ დაიჯერება: «უთუოდ რამე სნეულება შეეყარა, ან თავს არ მოუფრთხილდა, გაცივდა, გახდა ავათ და მოკვდა.» ან როდის უნდა გაიგოს? შეიძლება ნახევარის წლის შემდეგ გაიგოს, ან ერთი-ორის წლის შემდეგ, როდესაც მე შექმული ვეყოლები მიწას. შორს, შორს, უცხო მხარეში. ღმერთო, რას არ მოესწრება შენგან გაჩენილი! ხაიდგან სად წაიყვან! სად მალოროსია და მისი მშეიდობიანი ქალაქი ჰოლტავა, და სად იპანის კოლონიები ვესტ-ინდიაში, პუბა, ქალაქი ჰავანა, თერთმეტ-თორმეტ ათას ვერსაზე მოშორებული ერთი მეორესაგან! ერთის მხრით წყარი-

რი, აღუშფოთებელი ცხოვრება მოხუცებულის დე-
 დისა და მეორეს მხრით იმავ დროს, იმავე წამში,
 ჭილობზე მდებარე ნოტიო სარდაფში, ხელ-ფეხ შე-
 კრული შეილი მისი, რომელიც, მჩე წვერს ამოს
 ჰყოფს თუ არა მეორეს დღეს, დასჯილი უნდა იქმ-
 ნეს: სიკედილით! მერე, ნეტავი დანაშაულობა მა-
 ინც რამე ჰქონდეს, ნეტავი სცოდნოდეს რამე, გა-
 გებოდეს ძასტელკოცის მოქმედებისა.. თავის გამართ-
 ლების ლონისძიებაც რომარა აქვს! რომ ვერ აუხსნია
 მსაჯულებისათვის ხეირიანად, საქმე რაში მდგომა-
 რეობს! აი, ბეღის წერას რომ იტყვიან, ეს უნდა
 იყოს! არა, რა საოცარი მდგომარეობაა! შველა რომ
 არსაიდგან გაეწყობა! ერთი რუსი მაინც მოიძეო-
 დეს სადმე ამ სი შრარეზე. ისე როგორ უნდა მოჰყვდეს
 ადამიანი, რომ უკანასკნელად სიტყვა ვერაეცის უთხ-
 რას? მს არის რუსები რომ ვიჩეშებთ შესანიშნავი
 ხალხი ვართ, დიდებული, მძლავრიო? სადაა მერე?
 იმოდენი შილიონი თანა მემაშულე მყავს და ერთი
 არავინ გამოჩნდა იშათგან, რომ დამიტაროს, მიხსნას
 უბედურებისაგან! დიდი ხნის მაინც ვიუო, სულ
 ოც-და-ხუთის წლისა ვარ, მეტოს არა, და მინდა ჯერ
 კიდევ ვიცხოვრო ქვეუანაზე... რამ წამომიყენა აქ,
 ამ სიშორეზე? რა მინდოდა მე, ვლორენტი ტარასიჩ
 მარტოვიჩს, ვესტ-ინდიაში? ვის უნახავს, რომ მა-
 ლოროსიელი კაცი ამდენს ათას ვერსზე მოშორე-
 ბოდეს თავის სამშობლოს და მერე კიდევ მეკონ-
 ტრაბანდობაც დაპირალებოდეს? სწორეთ საოცარი

ამბავია! ვინ დაგიჯერებს? სულელად არ ჩაგავჭრავთიც
ბენ? კაცს ფული გქონდეს, რაზე იჭირვებ საქმეს?
ვსოდეთ, მოგზაურობა გეხდლისებოდა — კარგიდა კეთი-
ლი: წავიდოდი პარიქში, რომში და იქ ვიცხოვდებდი.
მექსიკაში რა გინდოდა? ვინ დაგაძალა? რა მოგარ-
ბენიებდა სადღაც ვენესუელაში, საჭაც, უთუოთ:
რუსს თავის დღეშიაც არ გაუვლია.

ვული გქონდა და მატროსათ დადებ. ვერ
იცნობდი, იმისთანა ვემზე მეკონტრაბანდობაში და-
გიჭირეს! იმისთანა შიში გამოიარე, კინალამ ზარბაზ-
ნის ტყვიის მსხვერპლი შეიქმნა, შემდევ სამხედრო
სამართალში მიკცეს და ახლა გდიხარ ავერ. — რო-
გორც ძალლი, გლახა ჭილობზე და ხვალ დილით კა-
უნდა გამაესალმო... ო. ღვ! ამაზე მეტი უკუ-
ნურობა რაღა იქნება! შველაფერში თვითონ მე
ვარ დამნაშავე, ჩემი ბრალია ჟველაფერი... მაგრამ
ესეც არის: დანაშაულობა მხოლოდ იმაშია, რომ
მე თავისებური ხასიათის კაცი ვარ: ცოცხალი, ცნო-
ბის მოყვარე, საოცრად მინდა ვნახო ჟველაფერი
ახალი, საინტერესო, კარგი, ჟველაფერი გონიერი
და სასარგებლო. მს ღასაძრახისი არ არის! მხო-
ლოდ უბედური რომ გამოვა ადამიანი, ის არის!
მაგრამ რა დროს ამაზედ ფიქრია! შველაფერი გა-
თავდა... ღმერთო, ვგონებ, კიჯეც ჰორნდება. რამ-
დენიმე წამილა დამრჩა სიცოცხლისათვის. უმჯობე-
სია თავი მივდვა და ცოტა დავიძინო! მალე მოა-
წევს ალსასრული და ის იქნება... ბედი არ დაემართა

ამ საწუალს ვილგელმსონს, რომ ძილი მაინც კელირა
სა ამაღამ!

VII

მეხუთე საათზე გაგვალვიძეს, ჩემი მევობარი
ბრუნო გარეტიანებული წამოვარდა ფეხშე: «რა იქ-
ნა, მოაწია ალსასრულმა? წამოიძახა გაოცებულმა
და შემდევ ობლათ ერთი წვეთი ცრემლი გადმო-
ვარდა თვალიდგან და ლოკაზე ჩაჭმოდინდა. მივარდა
უცებ ფანჯარათან, რომ გაევო, მოვიდა თუ არა
ამერიკელი გემი, მაგრამ სანუვეშო ვერა დაინახა რა. ზღვა ღამშვიდებულია, მისი ლურჯი სივრცე ლამაზი
შესახედავია, როგორც შეეფერება ხოლმე ტროპიკულ
ქვეყნების წყლებსა. ჰერ კიდევ ნისლი დგას წყალზე
თხლათ, ——ადრე უნდა იყოს. შორს, ძლიერ შორს ჰორი-
ზონტზე მოჩანს სავაჭრო გემი, რომელიც მიდის დასაც-
ლეთისაკენ. შველანი დგებიან, გაშტერებულები იცმენ
ტანს და ქუდებს იხურავენ. ქასტელკოცი სიგარას
უკიდებს და ლანძღვას იწებს ჩვეულებრივად. აგერ
ბერებიც მოვიღწენ და ორს ისპანიელს ლოცვას
უკითხავენ. ამერიკელები შიშისაგან თავზარ-დაცე-
მულნი უკანასკნელად იჯებენ პირში ერთ დაღეჭა
თამბაქოს. მინდა ფიქრს თავი დავანებო და გული
გავიმაგრო, მაგრამ ვკრძობ, რომ მუხლები შეკეცე-
ბა ულონობისაგან და ფეხის გადადგმა მიჭირს. ამა-
ღამ ნახევარი საათი მეშინა, მეტი არა, და ვერ მო-
ვასწარი ცოტათი დასვენება, რომ გულმაგრად ავი-
ტანო მომავალი საშიში წამები. ბორკილები
შევვესწეს და უკანასკნელად პურსა და ლვინოს



გვაძლევენ, მაგრამ რა დროს ჭამა? ვის ახსოებიც
საჭმელი? არავინ ხელს არ ჰყიდებს. პი, კარებიც
გაიღო და გამოჩნდნენ დამწკრივებულნი სალდათე-
ბი, რომელნიც მოსულან ჩეენ წასაყვანად. სატუ-
სალოს უფროსი გვეძახის: «აბა, ყმაწვილებო, წა-
მობრძანდით!» მივყევართ. პირველად მიდის ზვი-
ლო, მთლიად ვაფითრებული, სიგარა ხელში უჭირავს
და ჰწევს; იმას უკან მიჰკება ისპანიელი, რომელიც
ჩეენ გემზე იყო შტურმანათ და ბოკამანათ; შემდეგ
სხვა ისპანიელებიც. ამერიკელები ჩაუყენათ ხელები
ფირი გაზიგნილ ტილოს კურტკებში და წყნარათ
მიდიან ისინიც კარებისაკენ, ფეხებ ვაბაჯინებულნი,
როგორც ჰსჩევევიათ ხოლმე მატროსებს... მე და
ვილგელმსონი მივდივართ ხელი-ხელს ჩაუდებულნი.

ზაფხულის დილაა, ცხელი.

ზარეთ ერთი ფაცა-ფუცია. სალდათები, ცხე-
ნოსანი აფიცრები, შპავებიანი ჩინოვნიკები ყვითე-
ლი ჩალის შლიაპებით; ესენი უთუოდ აქაური პო-
ლიკას ჩინოვნიკები უწლა იყვნენ. თეთრი ხალხი
და ნევრები ერთმანერთში ირევიან. ზავვიყვანეს მო-
ნასტრის გალავნიდვან და მარჯვნით წავვიყვანეს
აღმართში გზა-ტკეცილზე, რომელსაც აქეთ-იქეო
ჩაპწკრივებული ჰითა ტან-წერ-წეტა, ხშირ-ფოთ-
ლებიანი ტროპიკული ხეები. მარცხნით მოჩანს ქალაქი,
რომელსაც ჯერ კიდევ სძინავს, მარჯვნით—ლურჯი
ზღვა.—ზავიარეთ ნახევარი ვერსი და გზა-ჯვარადინ-
ზე, სადაც ჩვენს გზას გადაჰსჭრის მეორე გზა, ქალა-
ქიდგან მომავალი, ვხედავთ, ჯარია დაწყობილი, სამ-

ასამდის სალდათი იქნება. «იქ უნდა აღსრულდეს სასამართლოს უსაფრთხოების მისამართი, რომელიც განვითარებს ამ უსაფრთხოების მიზანისათვის. მოვუნდეთ მოედნისაკენ, სადაც ჯარი დგას, მივდივართ იქ და ჯარი გარს გვერტყმება. გამოიწვია მარცხენა კიდეზე, ხეებს ქვეშ, ვხედავთ გაპწკრივებულ საფლავებს. «მა ჩვენი საფლავებია,» ვთიქმობ მე. ბრუნოს ხელზე ხელს ვუჭერ და უნებლივთ მივიწევი ამერიკელებისაკენ. ასე რატომ ვიქცევი, არც მე ვიცი. გული იმათვენ მიიწევდა და არა ისპანიელებისაკენ. ჩვენ ტუსალებს ერთს ადვილს გვაუწენებენ უველას. ბერებიც ჩვენს ახლოს დგებიან, თავ-დახრილი, ჯვარი უჭირავთ ხელში. ჯვარიც დახრილია ძირს, არ იმართება და ამ ქამად, უთუოდ, არც აღიმართება, რომ გვექნეს ჩვენ უბრდურებს მთარველიად. აი, თქვე უგნურნო მსახურნო ქრისტესანო! ჩვენს წინ მრავალი აფრიკებია, სატუსალოს მცველი კაპიტანი, ვიღაც ერთი პოლკოვნიკი, რომელიც დიდს ამბავშია, დიდს ფაცა-ფუცში და ის ჩინოვნიკები, ყვითელ შლიაპებიანი, იქ რომ იყვნენ. აი, დაჰკრეს ბარაბანიც. ზეიბრძანებენ ქუდები მოვიხადოთ და რაღასაც აჩქარებით გვიკითხავენ ისპანიურს ენაზე, განჩენება უნდა იყოს. ქასტელკოცი შეუპოვრად რხურავს ქუდს და სიგარას იდებს პირში. ამას ყურადღებას არ აქცევენ, არ უშლიან. ქასტელკოცი საოცრად იგინება, სხვანიდგანან მორჩილად, ვითარცა პირუტყვნი, საყასბოზედ მოყვანილნი დასაკლავად. ბრუნო უკანასკნელიად მობრუნ-

დება და გაიხედავს ზღვისაკენ და, რომ ვეღარ დაი-
ნახავს ამერიკელ ჯავშნიან გემს, კვნესით მეუბნება:
«დავიღუპეთ!»

მე ვგრძნობ, რომ მუხლები მიკანკალებს და
მეკეცება. რამოდენათაც ახლოვდება განჩინების წა-
კითხვის ბოლო, იმოდენათ გული უფრო და უფრო
ჩქარა მიცემს. თვალები ამერია, ჭრელად ვხედავ
ყველაფერს, მელანდება ათას ნაირი სხვა-და-სხვა ფერი
რამ. რაც შეიძლება უფრო მავრად ვუჭერს ხელს მე-
გობარს ბრუნოს. თავ-ბრუ მესხმის, მგონია, ყველაფერი
ინძრევა, ყველაფერი ტრიალებს: ეს ჩინოვნიკებიც,
რომელნიც ქუდ-მოხდილნი ყურს უგდებენ განჩინების
კითხვას, ეს თოფებიანი სალდათებიც და სხვანიც. მაგრამ
ჯერ კიდევ გრძნობა არ დამკარგვია: შემიძლია ყვე-
ლაფერი დავინახო, ყველაფერი გავარჩიო... აი, შორს
გორაზე ხალხი დვას ჯგუფათ და იცქირება აქეთ;
უფრო მეტი უბრალო ხალხია: მამა-კაცები, დედა-
კაცები, თეორი ხალხი, ნეგრები; კალათებიანი ჯო-
რები, რომელნიც დატვირთულნი არიან ბოსტნეუ-
ლობით და ხილით, ბაზარში უნდა მიღიოდნენ ასე
ადრე. ზევიდგან ამ სურათს დაჰყურებს ზაფხულის
დალის მზე, ცხელი და მოწმენდილი ცა. პლაზაფერი
აღარ მესმის. მრთს ვნატრობ მხოლოდ: ამ არასო-
დეს არ გათავდებოდეს ამ განჩინების წაკითხვა, ან
და სულ ერთბაშად გათავდებოდეს, რომ მოვრჩეთ
ერთს განსაკრებულს. ჩვენს საქმეს ხომ შველა არა
აქვს მაინც და სულ ერთია.

VIII

აი, ვხედავ, გორაზე რომ ხალხი დგას, გაიწ-
 გამოიწია, რაღასაც გზა უტია, და გზა-ტკეცილზე
 გამოჩნდა ჩქარათ მომავალა ეტლი. მს არის ამერი-
 კული დოგი, (ეტლი) რომელშიაც შებმულია ოთხი
 დიდ-ტანოვანი ქურანი ჯორი...

ო, დაუკიწყარო წამო! მტლზე ზის ორი კაცი;
 მოჰყავს ეტლი ნეგრს, რომელსაც ჩალის შლიაპა
 ახურავს და ხელში უჭირავს მარიახი. მოუხვიეს
 ჩვენსკენ. მოსახვევზე ცოტა შეღგნენ ჯორები, ფე-
 ხებს აბაკუნებენ, თითქო უნდათო ძალა მოიკრიბონ,
 და შემდეგ ეტლი გამოქანებული მოდის ჩვენსკენ.
 მოისმის ჯორების ექვნების ქლიალი, და ეტლის
 რიხი-რიხინი. ისპანიელი აფიცრები მიბრუნდებიან და
 ცეკვას იწყებენ ეტლისაკენ. მტლი პირ-და-პირ
 ჩვენთან მოდის და ჩერდება. იქედგან საჩქაროთ გად-
 მოხტება ორი კაცი. მრთი იმათგანი პალტოს და
 ფართო ჩალის შლიაპას ეტლში დატოვებს. მის მა-
 გიერად ამოიღებს კოთხო ქუდს და დაიხურავს; თან
 მოაქვს ჯოხი, რომელზედაც გაკეთებულია რაღაც
 ფლაგი და საჩქაროთ მოაპირდაპირებს ჯარის შუა-
 გულს ადგილას. მს გახლავს ამერიკის დროშა; შე-
 ხედეთ, ზედ მოჩანს თეთრ-თეთრი ვარსკვლავები
 ლურჯს მატერიაზე. ბრუნო ხელზე ხელს მიჭირს და
 მეუბნება:

«ეს ჯე! სი არისო!» ეს, აწი რაღას გვიშვეულის მეთქი, ვიფიქრე მე. მეორე კაცი ამრს მდივანი უნდა იყოს, მოშორებით დგება.

მტლის რიხი-რიხინშა და ამერიკელის მოულოდნელმა მოსვლამ ყურადღება მიიქცია აფიცრებისა: უკან-უკან იცქირებიან და რაღასაც ხმა-მაღლა ჩურჩულობენ. ამერიკელმა კონსულმა რომ დაინახა, განჩინებას ჰკითხულობენ, უკან დადგა მოშორებით, ქუდი მოიხადა და იყო გაჩერებული, სანამ განჩინების წაკითხვა არ გაათავეს. უკელამ მას დაუწყო ცქერა. რა კეთილ-შობილი პირის სახე აქვს, სიმშეიდის გამომხატველი, თუმცა მის მკერდს რომ შეხედო, მისი მოძრაობა დაგიმტკიცებს, რომ ის ახლა აღელვებული უნდა იყოს. მრსი შეხედულობა დიდებულია და ძლიერი ისე, როგორც ის ხალხია დიდებული და ძლიერი, რომლის წარმომადგენელიც ის არის ამ ჟამად. ფრაკი აცვია. მხარ-იღლიათა აქვს გაკეთებული ამერიკის ნაციონალური შარტი. მტყობა ოფიციალურად გამოცხადებულია აქ ამ ეამად. ჩემმა მღელვარებამ უმაღლეს ზარისხამდის მიაღწია: თავი ვეღარ შევიკავე და ცოტა ხნით ბრუნოს ჩამოვაწექ მხარეს.

აი, განჩინების კითხვაც გაათავეს. მოისმის კამანდა. ჭარში მოძრაობაა. შეიქნა ფაცი-ფუცი და მზადება განჩინების სისრულეში მოსაყვანილ. ამ დროს ჭეხი შლიაპას იხურავს და გაბედულათ მიდის ჭარის უფროსთან. მარჯვენა ხელში მაგრად



უჭირავს ვაშლილი დროშა და რაღასაც ხმა-მაღლად ელაპარაკება ისპანიურად. მრივე გაცხარებით ლა-პარაკობენ, ჰევირიან და ხელების შლაში არიან. შთუოდ ჯესი განჩინების სისრულეში მოყვანას ეწინააღმდეგება. აფიცრები და სხვა ჩინოვნიკები მას შემოეხვევიან და რაღასაც ეუბნებიან გაცხარებით. ჯარის უფროსი, პოლკოვნიკი, ხელით ანიშნებს უარს, არ შეიძლებაო. ჯესი მთლად გაწითლებული და აღელვებული რაღასაც ჰყვირის და ამასობაში აქნევს მაღლა აწეულს დროშას. არაფერი გაეწიყო. შფროსებმა რაღაცა ბრძანება გასცეს. ჩინოვნიკები დაფაცურდნენ. წინ წამოდგა შვიდი უიარალო სალ-დათი; ხელში უჭირავთ ბაწრები. მოჰკიდეს ხელი ქასტელკოცს და წაიყვანეს ბოძზე მისაკრავად საფ-ლავთან; ქასტელკოცი საოცრად იგინება და ცოტა არ იყოს უარზედაც არის, არ ნებდება მათ. შემდეგ მეურე იაბანიელს მიაკერენ ბოძზე. ბერები მოშო-რებით რაღასაც ჰყითხულობენ ლოცვანში. აი, მე-სამეც მიაკრეს. ქასტელკოცს თვალები აუხვიდეს. მე თვალი ვეღარ გავუმაგრე ამ სანახაობას და პირი მი-ვიბრუნე. მინდა ლოცვა წავიკითხო, მაგრამ ვეღარ მოვახერხე, არ შემიძლია: სიტყვები სულ დამვიწე-ბია. აი კიდევ სამი მიაკრეს ბოძზე. ამ წამში ჩვენ-ზედაც მოვა ჩიგი. მოჰკიდეს ხელი ერთ ამერიკელ მატროსს. ჯესი მთლად ათრთოლდა, საჩქაროთ მიფარდება სალდათებს და უნდა ამერიკელი მატრო-სი გააშვებინოს. აფიცრები შემოეხვევიან მას. მრი

მათგანი ხმალზე წაისობს ხელს. მრთი ცეირილი, ერთი ვაიუშველებელია. ჯესი ჰყვირის გა-
გიებულივით და ხელს არ უშვებს ამერი-
კელ მატროსს. მრთი აფიცერი ხელში ხელს წაა-
ტანს. ჯესი, რაც ძალი და ლონე აქვს, დაარტყამს
მკლავზე და ხმა-მალლა ეუბნება ინგლისურად: «დაი-
წი უკან, მე გახლავარ კონსული ჩრდილოეთ ამე-
რიკის შეერთებულის შტატებისა!»

და ამ დროს ასწევს მალლა ამერიკის დროშას. ცდილობს თავისი თანამემამულე, ამერიკელი მატროსი,
განათავისუფლის, მაგრამ იმდენი სალდათი მოაწო-
ბა, უკან დასწევს მას, მატროსას ხელიდგან გამოგ-
ლეჯენ და მიჰყავთ ბოძზე მისაკრავად. ჯესი გაბრა-
ზებული ხან აქეთ მივარდება, ხან იქეთ. მეორე მატ-
როსიც წაიყვანეს და მიაკრეს. ბოლოს მე და ბრუ-
ნოც წაგვიყვანეს: ჩვენ ერთმანერთთან გამოთხვება
კი მოვასწარით, როგორც იქნა, და მერმე დავვაშო-
რეს ერთმანერთს, სხვა-და-სხვა ბოძებისაკენ წაგვიყვა-
ნეს. მუხლები მეკეცება. ვთორჩილობ. შუღი გადა-
მივარდა. სიარული რომ ალარ შემიძლია, მიმათრევენ
ზუღი მიმდის. საოცრად მაგრად კი მაკრავენ ბოძზე.
თითქმის ალარა მახსოვეს რა. თავი მებრუება. თვა-
ლები ამერიკა. ზუღი ალარ მიცემს, მკონია. მხოლოდ
ეს კი ვიცი, რომ ჯესი აქ არის, ფეხს არ
იცვლის, ხმა მალლა ჰყვირის, საოცრად გაცხარებუ-
ლია.

პი, წინ წამოდგენ სალდათები და თოთებს ტენა
დაუწყეს. «ჰე, ეს არის გვიპირებენ დაწვრეტას!» შეთქეი
ჩემს, გუნებაში. შევხედე, რომ ამერიკელი კონსული



რალასაც ჰყვირის და მოდის ჩეგნისკენ, დროშა ხელში უჭირავს. რამდენიმე აფიცერი მივარდებიან მას, რომ შეაჩერონ, მაგრამ ის მოუქნევს მათ დროშის ტარს და მოიგერებს. ისპანიელი აფიცერები რალასაც ინგლისურად და ისპანურად ეუბნებიან ჯესს, მაგრამ ჯესი თავს აქნევს უარ-უოფის ნიშნად და მაღლა აპყრობს დროშა. სისხლივით გაწითლებული და აღელვებული მიღის და ჩამოუდგება წინ ორს განაკიდე მაკრულს ამერიკელ შატროსს. შლიაპას მოიხდის და დიდებულად და მარჯვედ გადააგდებს იქეთ; გაიხსნის ჟილეტს, დროშას საჩქაროთ ჩვენ ჩამოგვაფარებს და თავის მკერდზე აღიშნება ისპანიელს აფიცერებს. რალასაც გასაოცრად ჰყვირის.

მეტი ალარაფერი დამინახავს, რადგან უცებ
თვალები ამიხვიეს. მათი კი მოვკარი უკანასკნელად
თვალი ყუბის ლურჯ ცას, ამ ბეღნიერის ტრო-
პიკულის ქვეყნისას, რომელსაც ისპანიელები და ტი-
ლიის ძვირფასს თვალსაც უწოდებენ და თვალები და-
მიბნელდა. **თავი** ვეღარ ვავაჩერე და ჩამოვკიდე.
ზუღი მერევა. შურები საშინლად მიწივის; მუხლებ-
ში ვგრძნობ სისუსტეა და მტვრევას. რომ ბაწრით
არ ვიყო ბოძე მიკრული, ძირს დავეცემოდი. მახ-
სოვს უკანასკნელი უნებლივ მოძრაობა ჩემი: ვცდი-
ლობდი ფეხები წინ, წამომეწია, ბოძე მოშორებით,
რომ, არ დავცემულვიყავი, როდესაც მომკლავდენ.
ჩისათვის ვშვრებოდი ამას, არც მე ვიცი: მერმეთ

თითქმის აღარა გამიგონია რა და კარგად არ ვიცი,
რა ამბავი იყო ჩემს გარშემო.

IX

მთლიად არც ერთხელ არ დამკარგვა გრძნობა.
აი ვავიდა ერთი წამი—ხანგრძლივი, დიდი, დაუს-
რულებელი; მე ეს წამი მეჩვენა მთელ ერთ საუ-
კუნეთ. უცებ გახდა მარჯვნით თოფების გრიალი. ჰე,
დაკურა-მეთქი უკანასკნელმა ეამბა, ვითვიქრე მე. მო-
ისმა თითქო შორიდგან კვნესის ხმა. პიდევ გავარ-
და თოფები მეორეთ, მესამეთ გავარდა უფრო ახლო,
მეოთხეთ კიდევ უფრო ახლო... ოხ, ღმერთო, რათ
დაგვტანჯე! ბარემც გათავდეს მალე! ზაფარდა მე-
ხუთეთ!.. მს სულ ახლოა. სრულიად დავკარგე სუ-
ლის სიმტკიცე, მაგრამ ვერდნობ, რომ მცველი ან-
გელოზი ახლოსა მყავს. ვესი აგერ არის ჩვენთან
ახლო და მიტომ არის, რომ ცოტათი კიდევგრძნო-
ბაში ვარ, თორემ აქამდის ჭკუიდგან შევიშლებოდი
სრულიად. ის ბრდლვინავს ხან-და-ხან, როგორც
გაბრაზებული ვეფხვი. აი გავარდა კიდევ თოფები,
მეექვსეთ... ახლა მეშვიდეთ, მერვეთ... ოხ, ღმერ-
თო, რა წამებაში ვარ! აგერ ჩემს ახლო ვიღამაც
საოცრად დაიკვნესა. პიდევ თოფების ხმა... ჩვენც
გვესვრიან ახლავე. ოხ, ღმერთო, რომ აღარა გვეშ-
ველა რა! როდის მოელება ბოლო ავ განსაცდელს!
ვესი კიდევ აქ არის სადღაც და ჰყვინის რაღასაც...



ეს რა ამბავია, რატომ აღარ გვესკრიან თოფებს! აი ერთი
წამი გავიდა კიდეც... რა შეჩებიან! მსეც მეორე
წამი... რა ამბავია ნეტავი?... ღმერთო, რას გვიპირე-
ბენ!...

მექის, რაღაც ფაცა-ფუტი შეიქნა ჩვენს ახლოს. ვიღაც გაჯავრებული მომცირდა და მომათხრიშა ცხვირსახოცი, რომ იითაც თვალები მქონდა ახვე-ული, მეორე ვრცაც არის ბაწარს მხსნის. ვხედავ, რომ ჯესი აქვეა და ჩვენზე აყრობილი უჭირავს თავის ძლევა-მოსილი დროშა, რომლითაც ჰსცული-ლობს დაგვყაროს ჩვენ ყველანო. ვხედავ, რომ ბრუნოსაც უშვებენ და ამერიკელებსაც. ჩვენ წინ კი-დევ დგანან ექვს-ექვსი შვიდ-შვიდი ისპანიელი სალ-დათი, მაგრამ თოვები ძირს დაუშვიათ. ჯესი კიდევ დავაშია ისპანიელებთან, მავრამ ახლა უფრო დაწყ-ნარებულია წინანდელზე. ნუ თუ გადავრჩით სიკუ-დილს? დალ, გადავრჩით; თავს გვანებდენ. როცა შევვხსენე ბაწრები, ჩვენ ველანი როვორლაც უნდა-ლიეთ ჩვენის მხსნელისაკენ მივიწევდით და იმას ვეფა-რებოდით ზურგს უკაა, როგორც შეშინებული ბოვშები. ბრუნო საოცრად ჰსტირის. შიშის ქარს კიდევ არ გაუვლია, კიდევ გვაკანკალებს წარ-სული ტანჯვის შიშით. ვხედავ, ბრუნოც ცოცხალია და ამერიკელებიც. ბავიხედე მარჯნით—რას დაინა-ხავს ჩემი თვალები!—შველა ბოძები შელებულია სისხლით და ჩვენი ამხანაგები, საცოდავი ისპანიე-ლები, სულ-ხორცის გაყრაში უკანასკნელად იტან-

ჯებიან. ის მათგანს, როგორც შადრევანი. პირიღ-
გან სისხლი ამოჰსჩერეს. ძალუმებულია; მომკვდარია, კისერი მოსტეხია და თავი დაჭკიდებია. ბაწრებს ზენიან მას და აგდებენ საფლავში უხეოროთ. სხვები ჩამოჰყიდულიან ბოძებზე და ციმწრი ისაგან ხელ-
უფხი დაჯღუარებიათ. რა საოცარი სანახაობა! წყე-
ულ იყავით დეთისაგან! დაგლახეროსთ ეშმაკა! ვს
არი ვანათლებული ხალხი! ამის მომქმედებს და-
ძახებათ ქრისტიანები! ამათ ღმერთი ჰსწამის!

ჯერ კიდევ არ მკონია, თუ სრულებით ბედ-
ნიერი ვართ. შეიძლება დროებით შეაჩერეს სასჯელი
და ხელ-ახლავ მოგველოდეს საშინელი წამები? თუ ახეა,
ჰჯობდა, ეხლავე გათავებულიყო. მაგრამ ნეტავი
იცადეთ, რამდენად სასიამოენო და სანატრელი იყო
ჩემთვია კიდევ ერთი საათით, ერთი წამით სიცოცხ-
ლის გაგრძება.. ვილგელმისონი აღელვებული ხელ-
ზე ხელს მიკერს, ჰსტირის და ჩუმათ მეუბნება, რომ
ვგონებ ისპანიელები, როგორც ეტუობათ ლაპარაკში,
თავს გვანებებენო. ჩვენს სიკვდილით დასჯას გადა-
დებას უპირებენ და ჯესს აპარებენ ჩვენს თავს; დაბოლოებით გარდაწყვეტილება მარშალის ხოველია-
რისაგან მოუვათ ტელეგრაფით ოც-და-ოთხის საათის
განმავალობაშიო. ჯესიმ იქავე დააწერინა თავის
მდივანს ჩვენი თავდებობის ქალალდი, მოაწერა ხელი
და მიუკა ისპანიელებს და ჩვენ ჟველანი წაგვიყვანა
თავის ეტლისაკენ. ისპანიელი აფიცირები უკან
მიგვიყვებოდნენ ერთის გინებით და ერთის ამბეით.



ჩვენ, როგორც ქორისაგან შეშინებულია ჭუჭულები დედას, ისე ვეხურხლებოდით ჩვენს მხსნელს ჯესს. ისიც ერთ ფეხის გადადგმაზედაც არ გვშორდებოდა ჩვენ. მტლთან რომ მივედით, ჯესიმ ერთია ამერიკელი თავის ქუჩერთან დაჯდინა, მეორე ეტლში ჩაისვა ჩვენც, მე და ბრუნო, ეტლში ჩაგვსვა და თვეოთონ თავის მუივნითურთ დაჯდა ჩვენს შორის; ყოჩალად, დოინჯ-შემოდგმული, ხელში ეპყრა თავის ძლევა-მოსილი დროშა, რომელიც იყო ამ ფამად სიმვო-ლო კაცთ-მოყვარების, გამარჯვების და ისპანიის მთავრობის მხედრული მტარევალობის და სისხლის მსმელობის დამარცხებისა. ჯესის ახლა სრულიად დამშვიდებული ჰქონდა სახე და ამაყად გამოიხედე-ბოდა. ის იყო ამ ფამად მშეენიერი და დიდებული. პი, შჩისტე მაცხოვარო, ნამდვილი კაცი, სწორედ ლირ-სეული და გონიერი მახური შენი! დაინძრა ჩვენი ეტლი და წავიდა. როდესაც სერჩე ავედით, სადაც იდგა ხალხი, რომელმაც დაინახა უცელაფერი, რაც ამბავი მოხდა, ყველამ მართებულად გზა უტია ჯესის ეტლს და პატივის ცემის ნიშნად ქუდები მოიხადეს.

ბრუნო ისეთი ბუნების კაცი იყო, რომ გული აუჩჩივილდა, ვეღარ შეიკავა თავი და როგორც კი ავტილდით სერი, წაატანა ჯესის ხელს ხელი და ზედ კოცნა დაუწყო მტირალმა. ვეღარც მუ შევიკავე თავი. ცრემლები კურუხლა-კურუხლა გადმომცვივდა, დავემხვე ჯესის მუხლებზე და მაღლობის ნიშნად ქუდები მოიხადეს.

მხურგალედ ვკოცნიდი ამერიკის დროშის კალთებზე, რომელმაც გადამარჩინა ახალ-გაზდა კაცი უბრალოთ სიკვდილს. მ, ლექტორ, რანაირად შემიყვარდა მაშინ ეს კეთილშობილური დროშა, რა განუსაზღვრელს ჰატივისცემასა ვგრძნობდი მისადმი!

იმ დღეს სალამოს მოაწია მრისხან ჯავშენიანმა გემმაც ნიუ-ორლეანიდგან და ამავად გაჩერდა ნაეთ-სადგურში. ამ გემის კაპიტანი სრულის ფორმით გამოწყობილი გამოცხადდა ჯესსთან. ამ გარემოების გამო კიდევ უფრო მეტი უურადლება მიიქცია ჩვენმა საქმემ მთელის ქალაქის საზოგადოებისა. ოცდა-ოთხის საათის შემდეგ მოვიდა შუბის კუნძულის გენერალ-კაპიტანის ბრძანება, რომ ჩვენ სიკვდილით აღარ დავესაჯეთ, მაგრამ 48 საათის განმავალობაში კი უნდა გამოვევჰავნეთ შუბიდგან.

ორი დღე ვიყავი ამერიკის კონსულთან. როდესაც მოვიდა გემი, რომელიც დადის ხოლმე ჰავანასა და ორლეანს შუა, ჯესიმ ყველანი წაგვიყვანა ნაეთ-სადგურში, ჩაგვსვა გემში და გამოვევისტუმრა.

რამდენიმე საათი იქნებოდა კიდევ წამოსცლამდის, გამოსალმების დროს სხვათა შორის მეც მაღლობა ვუთხარ ჯესის და გავუტყდი ბრუნოს პირით, რომ უმართებულოთ მოვიქეცი-მეთქი თქვენთან, რომ მოგატყუილეთ, რადგან მე სრულიადაც ამერიკის ქვეშევრდომი არა ვარ, არამედ მე ვარ რუსეთელი-მეთქი. ის, გაჯავრდა და რაღაც უთხრა ბრუნოს ინგლისურად. იმან მე ასე გადმომითან გვიჩნა. უთხარით



მაგ ყმაწვილს, რომ მაცდლობას კი მიცხადებს, მაგრამ დიდი ვირი ვინმე ყოფილა! როგორ არ იცის, რომ ოფიციალურს პირს სხვების თან-დასწრებით არ ეთქმება უველაფერი, რაც გულში გაქვს, ან რაც. გიმოქმედნია. მაგას ჰელინია, მე არ ვიყავი მიმსვდარი, ვინც ბრძანდებოდა? მე მაგას მაშინვე შევატყვე, როდესაც ვნახე მონასტერში, რომ მატყუილებდა. უგნური მაგ! წავიდეს მალე ნიუ-ორლეანში, თავისგან შომშორდეს! ჩემი ოთახიდგანაც გავიდეს ამ წამში, თორემ სულ კისრის ტეხით გადვუშვებ კიბეზე!....

ასე გათავდა ჩვენი საქე. მაგრამ ერთი საინ-ტერებო ამბავი კიდევ უნდა მოვიხსენო.

როდესაც ვაშინგტონში დავბრუნდი, წაველ ჩვენ საელჩოში და იქ მოხელეებს ვუამბდე ჩემი თავ-გადასავალი, და ვთხოვე, რომ ხელი გაემართნათ და ცოტა ფული ესესხებინათ, რომ ჰარიეტი მივ-სულიყავი. იქვე დამხვდებოდა ფულები. ჩვენი ელჩის მოხელეებმა გაკვირვებით დამიწყეს ცქერა, თითქო გიყი ვყოფილიყო, და მითხრეს, რომ საელჩო დაწესებულება ქველ-მოქმედებითი დაწესებულება როდია, რომ გაჭირვებულებს ფულით შემწეობა აძლოოსო. მერმეთ მითხრეს, რომ ბატონ ელჩს მოვახსენებთ ამ ამბავს და როგორც ის ინებებსო. მეორეს დღეს, როდესაც მივედი ამბვის შესატყობად, ეშმაკურად გამიღიმეს და მითხრეს, რომ ვერაფერი სამართლებრივ პასუხი გვაქვს თქენდა გადმოსაცემათი.

ბატ. ელჩიმა აი რა პასუხის მოცემა ინებაო: როგორიცაა
გორუ მობრძანებულხარ, ისევ წაბრძან ი შენს სამ-
შობლოში; სამაგისო ფულები არ გახლავსო.» მტ-
ყობოდათ, ძლიერ გაჯავრებულები იყვნენ ჩემზე.
ბატ. ელჩიმა ბრძანაო, რომ ოქვენ დიდათ დაკიშავე-
ბიათ, რომ იმისთან ამბავი ჩაგიდენიათ შუბის კუნ-
ძულზედო. ამ გვარის მოქმედებით ოქვენ არცხვენ-
თო რუსეთის მმართებლობას სხვა სახელმწიფოების
თვალშიო. შველა ჩვენი ელჩის მოხელეები საოცრად
ჰქიცხავდნენ ჯესის საქციელს, რომელიც მეტის-
მეტად ნაქები იყო ამერიკის გაზეთებში, და აშპობ-
დნენ, რომ ჯესი წინ დაუხედავათ მოქცეულაო. ამ
გვარი მოქმედება ურიგობათ უნდა ჩაითვალოა
ხალჩთა შორის განწყობილებაში და ისპანიის ელჩის
პროტესტი, რომელიც მან განაცხადა ვაშინგტონის
მმართებლობის წინაშე, სრულიად კანონიერია;
იმერიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა რომ პა-
სუხი მისცა ისპანიის ელჩს, ის კი უმართებლო და-
ცინებაა, რომელიც შეუჩაცხებას აყენებსო მთელს
დიპლომატიურს კორპუს.

საქმე აი როგორ იყო: ისპანიის მმართებლობაშ
მოითხოვა, რომ ამერიკის მმართებლობას გაეკიცხა
ჯესის მოქმედება და საყვედური გამოეცხადებია
მისთვის, მიტომ რომ ის გაერია ისპანიის კოლო-
ნიის შინაგან საქმეებში. ამაზედ მაშინდელმა შე-
ცრაობულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრმა



უპასუხა, რომ ჩვენი შმართებლობა არა თუ სკუფები
დურს ასმე ემართლება ჯესის, პირ იქით ჰქოებს,
რომ ჯესი სრულიად წესიერად მოქცეულა და ამის
გამო კიდევაც აცნობეს ჯესისო, რომ თუ მომა-
ვალში, სანამ შუბის აჯანყებულების საქმე
არ დაბოლოვდება, მზგავსი შემთხვევა განმე-
ორდეს, მას ნება აქვს პირ-და-პირ, უმაღლეს
შმართებლობის დაუკითხავად ნიუ-ორლეანიდგან
საჩქაროთ მოითხოვოს ტელეგრაფით, როდე-
საც კი საჭირო იქნება, სამი ჯავშნიანი გემი. მე
და ბრუნო დაუშორდით ერთმანერთს ისე, როგორც
საზოგადოთ დაშორდებიან ხოლმე ერთმანერთს ორი-
შემთხვევით შეხვედრილნი ჰყიჩოთნი წყლისა, რო-
მელნიც ერთად მიღიან, სანამ არ დაეჯახებიან სადმე
კლდეს, და შემდეგ კი დაშორდებიან ერთი მეო-
რეს. მე იმას გამოვესალმე ნიუ-ორლეანში. გამო-
ვიანგარიშე ხარჯი, რა იყო საჭირო პარიფამდის და
რაც გადამჩხა ფული, ერთი 50 ლოლლარი იქნე-
ბოდა, სულ იმას მივეცი და წამოვედი.

იმ დღიდან მისი ალარა ვიცი რა.

რეინის გზის ხილი.


წათარგმნი უკაფილია ლორთვით და მისამართია.

რამდენიმე წელიწადია მას აქეთ, რაც ერთი ჩემი მეგობართაგანი, ჰენრიხ პეხტერი კამპანიის საქმეების გამო მიემგზავრებოდა ცეცხლის გემით ინგლისიდგან გაერში.

მოგზაურებს შორის იმყოფებოდა ერთი მშენებელი შვეიცარიელი ქალი, მარიამ ლორმი.

ჩემმა მეგობარმა რამდენ-ჯერმე მოინდომა ახალგაზლა ქალთან გამოლაპარაკება, მაგრამ ამ ქალის მარტივი და მორცხვი ქცევა, თითქო ენას უბამდა ვაჟსა და მეგობრულ გასაცნობად არ აკარებდა.

ვაჟმა გაიგო მხოლოდ, რომ ეს ქალი ცხოვრობდა ლონდონში თავის ნათესავ ქალთან, როცელიც უეპრად გადაცვლილიყო და ამის გამო წამოსულიყო შინ, შვეიცარიაში, თავის ავად-მყოფ მამასთან. შეკანკანელ წერილებიდგან სჩანდა, რომ მამა მძიმე ავად უნდა ყოფილიყო და ქალი გულ-



მწუხარედ მიეშურებოდა შინისკენ, რენება კოცხალის
მაინც მიუსწროვო.

ამ ახალ-გაზდა ქალმა მიიჩიდა ჰენრიხ პეტე-
რის გული და რადგან ის მარტოდ-მოგზაურობდა,
პეტერმა განიზრახა გზაზედ იმისი მფარველობა და
პატრიონობა.

როცა ცეცხლის გემი ნაპირს მიადგა, ჰენრიხ
პეტერმა ქალს უთხრა: ნება მომეცით თქვენი ბარ-
გი მე წამოგილოთო. ბარგი იყო ერთი დიდი და
მძიმე ტომარა. ქალმა მაღლობა შესწირა, მეგობრუ-
ლად შეხედა თავის გამომხიბლავის თვალებით და
ტკბილად გაულიმა. ჰენრიხმა ტომარა აიღო და
გაჰყენა ქალს პარიქში. იქათ ათი წამი დააგვიანდათ
და მატარებელს ველარ მიუსწრეს. მეორე მატარე-
ბელი კი ხუთს საათს შემდეგ გადიოდა. მალისათვის
უოველი წამი ძეირფასი იყო. სურდა მამისთვის
სულზედ მაინც მიესწრო და ამის გამო ჰკითხა ჩუ-
ჩის გზის მოსამსახურეს: ზანა არ შეიძლება რაიმე
საშუალებით გაგვისტომროთო?

— არა, არ შეიძლება, — მიუგო მან.

— მაშ ახლავე ქვეითად უნდა გაესწიო, წამოი-
ძხა ქალმა, მეშინია, ვაი თუ მამა ჩემი უკანასკნელ
დღეშია და ცოცხალს ვერ მიუსწრო.

— დიალ, მაგრავ თქვენისთანა ნაზისა და ნორ-
ჩის ქალისათვის წომაუტანელი იქმნება ამისთანა შო-
რი გზა, მიუგო ჰენრიხმა.


— სულაც არა — ღიმილით უპასუხა მარიამმა.

თქვენც იცით, შვეიცარიელები რა კარგი ქვე-
თები არიან. მე სიყმაწვილიდან შეჩვეული ვარ
შორს გზაზედ სიარულს.

მალმა ისე ნაზად მიაპყრო ჰენრის თავის მშვე-
ნიერი თვალები, თითქოს სთხოვდა, შენც თან წა-
ვომყევიო.

ჰენრისმა ვეღარ ეწინააღმდეგა ამ ნარნარის თვა-
ლების გამომეტყველებას და თან ვაჲყა.

ორნივე დაადგენ რკინის გზა-ტკუცილს და
მიღიოდენ საჩქაროდ. ამის მეტი გზა სხვა იმათ არ
იცოდენ. როცა თხრილი, ან სხვა რაიმე დაბრკო-
ლება, შეხვთებოდათ გზაზედ, ჰენრის ყოველთვის
შველოდა ხოლმე ლამაზს ქალს. მა კი ნაზის ხელის
ოჭერით და ნარნარის ღიმილით უმცხადებდა ვაჭა-
გულითადს მაღლობას. ასე იმგზაფრეს მთელი სამი
საათი; ბოლოს მჩერი ჩავიდა, მაგრამ ისინი მარც
იძებს არ ჰქანებდენ, დროით ბინაზედ მისვლისას.
მათ ჰქონდათ ერთი კრძელი ხილი გადასავლელი;
ნახევარი ამ ხილია ტბაზედ იყო გადებული და ნა-
ხევარი გადაჰყურებდა აღმფოთებულს მდინარეს,
რომლის ქაფ-მოდებული ზეირთები ღრმალით ასკ-
დებოდენ მიღმო კლდეებზედ, თითქოს ემუქრებანო
ხილსა და მაჲედ მოსიარულებს თავის უფსკრულში
შთანთქმასაო. ხილი ოც-და-ათ საენი სიმაღლეზედ
იყო ამართული. ბინდმაც მოატანა, ისინი ხილზედ
შედგნენ და ელდა ეცათ, როგორც კი შენიშნეს,



რომ ხიდს გვერდზედ სასიარულო ხეები არ ჰქონდა
დატანებული. მრომოცის საფენის სიშორეზეც იმათ
სულ მარტო რელსებზედ უნდა ევლოთ. საუბედუ-
როდ რელსებიც ისეთი ვიწრონი იყვნენ, რომ ძა-
ლიან მარდი კაცი უნდა ყოფილიყო, რომ რელსებ-
ზედ სიარულის დროს არ წაბორძიკებულიყო. მრთი
ბეჭო უხერხო მოძრაობაც საკმაო იქმნებოდა იმათ-
თვის, რომ საუკუნოდ ჩაღუპულიყვნენ თვალ-
უწვდენელ უფსკრულში.

ჰენრიხი შედგა, შეხედა თავის მშვენიერს თანა-
მოგზაურს და კანკალმა აიტაცა.

— Ան ահա Տէղոնք, Ի՞նչ լավը կունդցե՞տ? Շտեհաման.

— შეგეშინდათ განა? დაბალის ხმით დაეკითხა
ქალი.

ჰენრიხი საშინლად აენთო პირის საწეზედ.
ძალი შესწუხდა, რათ ვაწყენინეო და უცბად გაასწო-
რა თავისი კითხვა: მე მინდოდა მეტქვა ოქვენ ჩემი
გულისათვის გეშინიათ?

— ଭାଲ.. ତେବେନି ଗୁରୁତ୍ୱରେ ପାଇବାକୁ ପାଇବାକୁ ପାଇବାକୁ

მალმა ლიმილით უპასუხა: ჩემი ნუ გეშინიათ. მე ხშირად ავსულვარ პლპიის მთის მწვერვალოებზედ. ხშირად მივლია მონაღირეებთან ერთად მთის ყინულებზედ და ციცაბო კლდეებზედ. მე არაფრის არ მეშინია.

ჰენრიხი მაინც არ ჩქარობდა ფეხის წინ წალგმას. ვიწრო რკინებზედ სიახული კიდევ უფრო ძნელია,

როცა კაცი იქიდგან ამისთანა ჯოჯოხეთის უფსკრულს და აღმფოთებულს მდინარეს ქვემოთ დაჰყურებს.


ახალ-გაზდა ვაჟი ამ საშინელებით ისე შეირცა, რომ თვალ-წინ მოელანდა კიდეც ვითომ მარიამი თავის კაბით ჰაერში ფრიალებს, მერმეთ გულ-საკლავი ხმაურობით აქალებულს უფსკრულში ვარდება და იქიდგან მოისმის ქალის შემაძრწუნებელი და დ-მტანჯველი წივილ-კივილი.

— მე უიმისოთაც მთელი დღე დამეკარგა ამ მგზავრობაში. ვინ იცის ახლა იქმნება ჩემი საბრალო მამა სულს ებრძვის. მე უთუოდ უნდა დავეშურო. თქვენ დაბრუნდით, მე მარტო წავალ. დაგვიანების დრო აღარ არის, ბრელდება. უკან რომ დავბრუნდეთ, მატარებელს მაინც კიდევ ვერ მიუსწრებთ.

— მაშ წავიდეთ, უთხრა ჰენრიხმა. პალტოზედ ხელი მომკიდეთ, რომ თავი შეიმაგროთ; თუ თქვენ გადავარდით, რა თქმა უნდა, ცოცხალი არ დავრჩები, მეც თან გადმოგყვებით. რაც შეიძლება მაგრად მომკიდეთ ხელი. თუ მე ფეხი დამისხლტეს, მაშინვე ხელი შემიშვით, რომ თან არ გადავიტანოთ.

ზიქრის დრო აღარ იყო, მარიამმა ხმა ამოუ- ღებლად თავი დაუქნია, თითქოს თანახმა იყო.

წაეიდნენ წინ თამამად და გაფრთხილებით. ამ დროს უეცრად ძლიერმა ქარმა დაბერა. მალი წამო- ბორძიკდა, ის იყო, უნდა გადავარდნილიყო. მაგრამ სულ შეგუბებულმა თავი შეიმაგრა. მან თვალი მოჰკრა უფსკრულსა და ისევ წაბარბაცდა, მაგრამ



მაინც მოიკრიფა უკანასკნელი ღონე, მარცხენა ხელი შეავდო მალლა და ისევ გასწორდა.

ჰენრიხს უკან მოხედვის ეშინოდა, რომ არ წაბორძიკებულიყო, ის კი არ იცოდა თუ, რა ახალი უბედურება მოელოდათ მათ კიდევ.

— მაგრად მომკიდეთ ხელი, წარმოსთქვა ჰენრიხმა ჩუმის ხმით, თითქოს ეშინოდაო ხმის ამოღებით ხიდი არ შენძრეულიყო. ხიდს გალმა, გორას უკან მოსახვევი იყო, საიდგანაც უეცრად მოისმა მატარებელის შემაძრწუნებელი წივილი. რელსები ერთბაშად შეირცენ მათს ფეხებს ქვეშ და დაწყნარებულს ჰაერში გაისმა მდუნე გრიალი. მარნივე უეცრად შეჩერდნენ და დავლა დაცემულივით ვაშეშდნენ. მათ შორი ახლოს ბნელაში გაიელვა მატარებელის ცეცხლმა. ისინი შეა ხიდზედ იდგნენ მარტოდ-მარტო. აღარც წინ შეეძლოთ გაქცევა და აღარც უკან, ყოვლის მხრით სიკვდილი ემუქრებოდათ.

— დავილუპეთ, კანკალით წარმოსთქვა მარიამმა. ჩვენ აქ უნდა დავიხოცოთ. მაგ, ჩემო კეთილო საბრალო მამავ!

— ღმერთო შენ დაგვიხსენ, წამოიძახა გაფითრებულმა ჰენრიხმა, შესცეკროდა რა მოახლოვებულს მატარებელს. ბაწარი რომ მქონოდა 'იქმნება თავი გადაგვერჩინა.

— ბაწარი მე მაქვს ტომარაში, მსწრაფლად წამოიძახა მარიამმა.

მომეცით ახლავე!

მარიამშა რაც შეიძლებოდა საჩქაროდ ამოიღო
ტომრიდგან ბაწარი და მიაწოდა ჰენრიხს.

ერთი ბოლო ბაწრისა ჰენრიხის ქალს შემოარტყა
წელზედ, მერმეო კალი მუხლით დაიჩოქა და მეორე
ბოლო პოაზია გადმორჩენილს ხეებს, რომელნიც
რელსების ქვეშ ეწყვენ.


ზრიალი, ძიგინი, საშინელი ძალუმი სტვენა
გაისმა თითქმის სულ ახლო მათთან. ხიდი შექანდა
და იქ ძალუმად დაინძრა, თითქო ეს არის ლაინგ-
რევაო. ახალ-გაზდები გაეხვივნენ ორთქლში, კვამლ-
ში და ცეცხლში!

— უმ, ლმერთო ჩემო! წამოიკვნესა მარიამშა
ამ დროს ის იყო პაერში ბაწრით დაკიდებული.
ზონება დაკარგულმა თვალები დახურა. საბრალოს
თავს გადაურბინა მატარებელმა ისეთის გრიალით
და საშინელის ხმაურობით, თითქოს მეხი დაეცაო.

ზეეშველა, მოესმა ქალს გამამხნევებელი ხშა.

— მადლობა ლმერთს, გადავრჩით, მარიამ.

მარიამშა ზევით აიხედა და დაინახა ხეებზედ
ხელებით ჩამოკიდებული ჰენრიხი, რომელმანც მოიკ-
რიფა, რაც ლონე ჰქონდა და ერთის შეხტომით ისევ
რელსებზედ შევარდა, შემდეგ ნელ-ნელა ქალი ამოს-
წია ბაწრით და ამოიყვანა: ბაწრის შემწეობით უფ-
რო ჩქარა წავიდნენ და გაიარეს ბედის წერის ხიდი.
მარიამშა დაიჩოქა და თვალ-ცრემლიანი ლმერთს
მადლობას სწირავდა ორივეს გადარჩენისათვის. ჰენ-



რიხიც იქვე მის გვერდით იყო დაწილი, მერმეთ
დაუჭირა მარიამს ორივე ხელიში, თვალი თვალში
გაუყარა და უნებურად მათი ტუჩები გრძნობის
ალმა შეაწება.

ეს საშიშკარ, წამმა სუკუნოდ შეაერთა მათი
გული.

მშვიდობიანად მივიღნენ ბინაზედ, საცა მარიამა
ნიხა თავის მამაკვდავი მამა.

საწყალი მამა ჭალის დანახვით გამნევდა, უკა-
ნასკნელი ლონე მოიკრიფა, შვილს მოეხვია, ცკოცა,
დალოცა და სულიც ჭანუტევა.

მალი გულში ჩაეკრა გაცივებულს, უსულო
მამას და დიდხანს ქვითინებდა, მაგრამ მისა ლრმა
მწუხარებას მალე მოულო ბოლო ჰენრიხის მხურვალე
სიკვარულმა და გულ-წრფელმა მეგობრულმანუგეშმა.
ისინი მალე დაქორწილდნენ გახდნენ ერთმანერთის
ცხოვრების განუშორებელნი მეგობარნი. მერე აღარ
გამოუტარათ იმისთანა დაუნდობარი და საშიში წა-
მი, როგორიც რენის გზაზედ შეემთხვეათ.

მარტინი და თეოდორ მიერთებ
უკან ცხმელების მასიმერ იუსტიციურნის დიმცვებ
უკან უცხოებები მიერთე და უმოქმედ ცხოველ უკან
ამონი დიდ აუგვიანობაში გამოიწვია. თბილი ფერები
უკან თანამდებობა მიერთებოთ და თანამდებობა ამ
უკან პატივი მიერთებოდა და უცხოებები მიერთებოდა
უკან ინდიუსტრიული უფრო და უცხოებები მიერთებოდა
უკან დიდ მიმდევარებები და უცხოებები მიერთებოდა